

ლაზ-ჭანების სწავლა-განათლების მდგომარეობა ბიზანტიის (საბერძნეთის) მფლობელობის დროს

ედუარდ ჭანტურია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი

რეზიუმე:

ქართველ და უცხოელ მემეტაანთა ცნობით ჭანეტში (ლაზეტში) ბერძნული კულტურისადმი დიდი თავყანისცემა იყო. კერძოდ, ისინი სწავლა-განათლების სისტემის მიმდევრები გახლდათ. ცნობილია, რომ ანტიკური კოლხეთისა და ბიზანტიის (საბერძნეთის) საგანმანათლებლო კერებში აღზრდილი იყო უამრავი მომავალში გამოჩენილი პიროვნება. ლაზ-ჭანების მიერ ბერძნული ენის ცოდნა, მათი ადათ-ჩვეულებებისა და სხვადასხვა რიტუალების შესრულება და ა.შ. არ წარმოადგენდა რაღაც უცხოს. თავის მხრივ, ბიზანტიას ლხეთის მიმართ არა მეგობრული დამოკიდებულებას იჩენდა და ეწოდა დაპყრობით პოლიტიკას. სწორედ მათ მოსპეს ლაზთა დამოუკიდებელი სამეფო (689წ.) (როგორც რუსეთის იმპერიამ ბაგრატიონთა დინასტია და ქართულმა ეკლესიამ ატიკეფალია მომდევნო საუკუნეებში) და შექმნეს რუსეთის ე.წ. პატრიკოსი (მთავარი, ერისთავი) ამ დროიდან კარგა ხანს ლაზიკას (ჭანეთს) მართავდა ბიზანტიის მეფეები, რომლის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობა განიცდიდა ყოველწინაირ შევიწროვებას. ბიზანტიის მესვეურების (განსაკუთრებით კონსერვატიულად განწყობილი სამღვდელთა) მხრიდან წარმოებდა ქართული კულტურის ცენტრების დარბევა, ან ამ ცენტრების ხელში ჩაგდება და მის ერთად უძრავ-მოდრავი ქონებაც, მთ შორის თვით ეკლესიებიც. ამას ადასტურებს იმდროინდელი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ზოგიერთი პუნქტები (სადაც ნათქვამია ქართულ მონასტერში ბერძენთა (განსაკუთრების სამთღვდელთა) წარმომადგენელთა შეუვალობის შესახებ). ბიზანტიის სამღვდელთა ნტრულად იყო განწყობილი ქართველ სამღვდელთა და მოძღვართა ნოვატორული წამოწყების მიმართ, მათ შორის განათლების სფეროშიც. რათქმა უნდა ეს თავის მხრივ ყოველწინაირად აფერხებდა მომავალი თაობის აღზრდისა და სწავლა-განათლების პროცესს.

საკვანძო სიტყვები: ლაზ-ჭანების სწავლა-განათლება, ბიზანტიის (საბერძნეთის) მფლობელობა

ქართველ და საზღვარგარეთელ მატაიანთა ცნობით ჭანეთში (ლაზისტანში) ბერძნული კულტურისადმი, კერძოდ სწავლა-განათლების სისტემის მიმდევრები გახლდათ. გავიხსენოთ ანტიკური კოლხეთისა და ბიზანტიის (საბერძნეთის) საგანმანათლებლო კერებში გაზრდილი ახალგაზრდობა; ლაზ-ჭანების მიერ ბერძნული ენის ცოდნა, მათი ადათ-ჩვეულებისა და სხვადასხვა რიტუალების შესრულება და ა.შ.

ცნობილია, რომ კოლხეთის სამეფო (I საუკ. ძვ. წ.), რომლის დედაქალაქი იყო არქეოპოლისი (დღევანდელი ნოქალაქევი, როველიც მდებარეობს მდინარე ტეხურის

პირას და ერთვის როინს, სადაც ბერძნების მითების თანახმად იმყოფებოდნენ აგრონავტები ოქროს საწმისის მისატაცებლად. ეს ალაქი ძლიერი ციხე-სიმაგრე იყო იმ დროს, მას ვეებერთელა გალავანითა და კოშკები ჰქონდა შემოსილი. პროქოპი კესარიელის თქმით – “არქეოპოლისი არის მთავარი და უდუდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში: 108) ამ დროს ლაზიკის მეფეს ბიზანტიის კეისარი ამტკიცებდა. მაგრამ ის ბიზანტიის მეხარკე არ იყო, მისი მიზანი იყო გაემაგრებინა მტრისაგან ჩრდილოეთი საზღვრები, ბარბაროსი ტომების შემსევისაგან ბიზანტიის სამფლობელოზე. (ლაზები და ბიზანტიის საკეისრო ერთნანეთს ენათესავებოდნენ.

ლაზიკის გამო სპარსეთი ეიქშევა რომს (რომლის ქვეშ იყო იმ დროს ბიზანტია). პოლიტიკურ ბრძოლას მოყვა უამრავი გალაშქრებები. სომხეთი და იბერია ირანის შახის იუზდგერ II-ს დროს (438-457წწ.) სპარსეთმა ხელთ იგდო და ლაზების გადაბირებას ცდოლობდა. ამასთან დაკავშირებით სპარსეთსა და რომს შორის მოხდა მოლაპარაკება. რომაელი ისტორიკოსის პროკოპი კტარიელის თქმით სპარსეთის სპარსეთის წამრომადგენელმა სეოსმა თქვა, რომ კოლხიდა, რომელსაც ეხვა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე სპარსეის ქვეშავერდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ. რომაელები აღშფოთებით ისმენდნენ ამას. აპარსელები რომ ლაზიკესაც ეცილებოდნენო” 109).

უკვე ლაზთა მეფე წაი-I დროს (მე-5-6 სს.) ლაზიკა რთულ პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა ორი მიქიშპე დამპყრობლის გამო მას დიდი სიფხიზლე სჭირდებოდა თავის დასაღწევად, სწორედ ამიტომ ლაზთა მეფე ორჭოფულ პოლიტიკას ეწეოდა და ხელსაყრელ პირობებით სარგებლობდა. ამ დროს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური იროენტაცია გაორებული აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს ქრისტიანულ სარწმუნოების ისარმა გადაწია და ლაზიკის მეფემ კეისრის ძალაუფლების ქვეშ მოიქცია. ამიერიდან ლაზთა საქმეები უარყოფითად განვითარდა. ეს უკვე ის დროს, როდესაც გეზაზ-მეფე ვერაგულად მოკლეს. კეისარმა იმის შიშით, რომ ლაზები წინააღმდეგობას გაუწევდნენ ეცადა მკაცრდ დაესაჯა ბოროტმოქმედნი. ლაზების სიდუხჭირე ეცადა გამოეყენებინა სარსეის პოლიტიკურ წრეებს და ეცადნენ შავი ზღვის სანაპირო ხელთ ეგდოთ და მაზდიანობა გაეცრელებინათ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათ იმედი გაუცრუვდათ და ლაზეთი მოეხსნა სპარსეის ბატონობისაგან. აპარსთა რამოდენიმე გალაშქრება ლაზიკაში მარცხით დამთავრდა გაერთიანებული ჯარისაგან (სადაც შედიოდა ლაზები, რომაელები და ბიზანტიელები) თუმცა ბიზანტიელთა ჯარით ლაზეთის მოსახლეობა უკმაყოფილო იყო, ვინაიდან ისინი სპარსელებისაგან დიდად არ განსხვავდებოდნენ მარცვა-გლეჯვასა და მოსახლეობის დაბეგრებით. რა თქმა უნდა ქრისტიანულ ლაზიკას კულტურული ურთიერთობა უფრო მეტად დაკავშირებული იყო ბიზანტიასთან , ვიდრე მაზდიანურ სპარსეთთან. ეს კი განათლების სფეროს ეხებოდა, რომელიც ეკლესიის ხელში იყო. როგორც ცნობილია ქართველ, რომაელ და ბიზანტიელ მემატიანეთა მონაცემებიდან, ლაზიკის სამღვდელთა ზედამხედელი იყო მეზობელ ჭან-მეგრელთა საეკლესიო საკითხებში და ლაზთა ეპისკოპოსები ჭანებს უწესებდნენ მღვდელთმსახურებას; ჭანებისა და მეგრელთა ქრისტიანული მისასტრები ლაზებს ჰქონდათ იერუსალიმის უდაბნოშიც, საბერძნეთში და სხვ. აგათიას ქოლასტიკოსი მიუთითებს, რომ კოლხებმა (უკვე ლაზიკა) კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა 110) გავიხსენოთ, რომ თითქმის ყველა მონათმფლობელურ სახელმწიფოში (ისრაელში, რომში, საბერძნეთში და მათ შორის საქართველოსა თუ სომხეთში) განათლების სისტემისდამახასიათებელი იყო სულიერი და ფიზიკური აღზრდის შერწყმა, რადგანაც ითვლებოდა, რომ ინტელექტისა და

ზნეობის გამომუშავება ფიზიკური ვარჯიშის გარეშე შეუძლებელია, ხოლო სამშობლო შეუძლიათ დაიცვან მხოლოდ ასეთ განვითარებულმა ახალგაზრდობამ. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. მარი მიიჩნევს, რომ ჭანებს დიდი ღვაწლი მუძღვით ბერძნულიდან ქართულ ენაზე საეკლესიო ხასიათის ლიტერატურის გადათარგმნაში და მართლაც, რომ ძველ ქართულ ტექსტებში ჭანური სიტყვები – “ჭნიზმი” ბევრია 111) მაგრამ, უკვე VI-VII სს. ბიზანტიამ ჭან-ლაზები უკვე მოწყვიტა საქართველოს და მისი ტერიტორიები თავის სამფლობელოს Eურეთა, რომელიც ჭოროხის ხეობიდან ტრაპეზუნამდე ვრცელდებოდა. საქართველოს ფარგლებში დარჩა გონიოსა და ხოპ-ვიწეს ტერიტორია, რომელიც შევიდა სამცხის საერისთავოში. ეს იყო ფაქტორი, რომელმაც ლაზური ენის შედარებით სხვასთან შემოანახვინა. სხვა ტერიტორიაზე კი გაბატონდა ბერძნული ენა და წეს-ჩვეულებები. ბიზანტიის მეფე ჰერეკლემ მოსპო ლაზთა დამოუკიდებელი სამეფო და ცალკე საერისთავო წარმოქმნა. ეს მოხდა მემატიანე თეოპანეს მონავემების თანახმად სადღაც 689წ. უკვე ლაზიკას მართავდა პატრიკოსი ანუ ერისთავი(მთავარი) და ა.შ. ამ დროს ასევე პიროვნებად იყო სერგი ბარნუკიძე. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ლაზეთი ხანგრძლივი ომების გამო (ბოლოს მას მოუხდა არაბებს შებრძოლებოდა, როდესაც მათ უკვე აღმოსავლეთ საქართველო 643წ.) ამ ხელსაყრელი პოლიტიკური მდგომარეობით ისარგებლა აფხაზეთის საერისთავომ და ბიზანტიის დახმარებით ხელთ იგდო ლაზიკის (ჭანეთისა და ეგრისის ტერიტორიები) და საერთოდ სამეფო; ამ მხარესაც ანდათანობით ლაზიკის ნაცვლად აფხაზეთის სამეფო უწოდეს. 112) ბიზანტია ყოველნაირად აფხაზეთია სამეფოს მფარველობდა, ხოლო ჭან-ლაზთა მიმართ აწარმოებდა ყოველნაირ შეზღუდვებს. საქართველოს გაძლიერების ხანაში (XI-XII სს) ქართველი მეფეების დახმარებით ხელთ იგდეს ტრაპეზუნის სამეფო და დასვეს თავისი მეფე. ამას ხელი შეუწყო 1204წ. ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყეს, დიდმა კომენიოსიმ ალექსიმ თამარის დახმარებით ტრაპიზონი დაიპყრეს. XII-XIV საუკუნეში ბიზანტიელებმა ისევ დაიბრუნეს ტრაპიზონის სამეფო და მასთან მთელი ლაზიკაც. ისევ წინანდელ მდგომარეობაში მოექცა ლაზისტანი (ჭანეთი) ეს ის დროა, როდესაც თვით ბიზანტიას უდიდესი საფრთხე მოელოდა, რადგანაც მათ დედაქალაქს – კონსტანტინეპოლს ოსმალთა ჯარები, რომლებმაც თითქოს მთელი მცირე აზია დაიპყრეს. როგორც ცნობილია ისმალთა სულთანმა კონსტანტინეპოლი აიღო 1453წ, ხოლო 1461წ. ტრაპიზონიც შეირთეს საუკეთესის მფლობელობაში.

რაც შეეხება დამოკიდებულებას ბიზანტიისა და საქართველოს (მათ შორის ლაზ-ჭანების) ეკლესიათა და მათთან ერთად კულტურის ცენტრების დამოკიდებულებას, უნდა ითქვას, რომ ყოველთვის იყო განწვევებული დამოკიდებულება (ცნობილია, რომ ქართული კულტურის ცენტრები იმყოფებოდა მრავალ ადგილას, მათ შორის: ივერიის აცადემია (ივერიის მონასტერთან არსებული) ათონში (საბერძნეთში) ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (ქართული კულტურის კოლონიასთან არსებული განათლების ცენტრი) ქართული განათლების ცენტრები იყო აგრეთვე სირიაში, პალესტინაში, ბულგარეთში და ა.შ. ძალზე ხშირად ქართულ განათლების ცენტრსა და ბიზანტიელ კონსერვატიულად განწყობილ სამღვდელთა შორის იყო ბრძოლა. ჯერ პოლემიკის სახით, ხოლო შემდგომ ბერძნების მხრიდან წარმოებდა ქართული კულტურული ცენტრების დარბევა ან საერთოდ ხელში ჩაგდება, რათა ხელთ იგდონ მოძრავ-უძრავი ქონება. გავიხსენოთ პეტრიწონის მონასტერის ტიპიკონის ზოგი პუნქტები – მონასტერში ბერძენთა შეუვალობის შესახებ?! საერთოდ კი ბერძნული კონსერვატიული საზოგადოება მტრულად იყო განწყობილი ქართველი სამღვდელთა და მოძღვართა ნოვატორულ წამოწყებების მიმართ. ამ საკითხთან დაკავშირებით (ანტაგონიზმია

გამომწვევი მიზეზების შესახებ) ქართული დამწერლობითი წყაროები იუწყებიან “ცხოვრება იოანე და ეფიმიისი” და “ცხოვრება გეორგი მთაწმინდელისა” გეორგი შავთელი – “ცხოვრება გეორგი მთაწმინდელი” ადასურებს ჩვენს აზრს, რომ “იმ შემთხვევაში, თუ კი ჩვენ ვინმემ – მოძღვარი, იკონომოსი, ან ვინმე სხვა რაიმე მიზეზის გამო ძალდატანებით, მოსყიდვით, ან ბერძენთა მიმართ აქვთ სიყვარული< სეცდომით ან სისულელით, იქნება თავის ქართველთა მოღალატედ – ასეთებს ნუ შეიცოდავთ”.

ცნობილია, რომ ბერძენები უმეტეს არა ბერძენ მოსახლეობას უწოდებდნენ ბარბაროსებს. მაგრამ ქართველთა მიმართ ამას ვერას იტყოდნენ, ამის დამამტკიცებელი ფაქტორია, რომ ქართული კულტურა და განათლების ცენტრი ათონში არც ისე უშედეგოს\დ ეჯიბრებოდა ბერძენთა პროგრესულ კულტურას. სწორედ ამიტომაც საბერძნეთის ეკლესიების პატრიარქმა ფოდოსი III იძულებული იყო, რომ ეთქვა: “თუ თქვენ ჯიშათ ხართ ქართველები, ხოლო განალების მხრივ თქვენ ხართ – ბერძენები 113)

სამწუხაროდ, ჭანების განათლების საკითხი პირდაპირი გაგებით (განათლების სისტემე, გეგმები, პროგრამები, სახელმწიფოებრივი და ა.შ.) არაფერი თანამედროვე მკვლევართა მიერ ნათქვამი. შესაძლოა ეს ყვეფაერი იმის შედეგია, რომ უამრავი დარბევის შედეგად პორველწყაროების უქონლობა, მეორე მხრივ სწავლა-განათლების პრობლემის უგულველყოფაც შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ვთვლით საჭიროდ ეს პრობლემა უნდა გახდეს მომავალი ძეგნის საგნად. განსაკუთრებით ნასახების შეგროვებით მაინც. განსაკუთრებით ბერძნულ, თურქულ, იანულ, არაბულ და ებრაულ პირველწყაროებში. რა თქმა უნდა ამ ენების ცოდნის გარეშე მკვლევარი საწადელს ვერ მიაღწევს. მითიმეტეს ჩვენი იმ დროინდელი თანამემამულეები საზღვარგარეთის მრავალ სასწავლებლებში იმყოფებოდნენ, მაგალითად კონსტანტინეპოლის, ბაღდადის ან მანაგანის აკადემიებში, რომელნიც (მე-10-12სს) იმჟამინდელი მოწინავე მსოფლიოს უმაღლესი განათლების კერად იქცნენ, ისევე, როგორც პეტრიქონისა და გელათის აკადემიები. თავისთავად ცხადის, რომ ნათარგმნი ლიტერატურა არ არ უნდა განიხილებოდეს, როროგც წაბამვა ან ნასესხები (გადმოღებული) რადგანაც ეს ნამდვილად ავტორის შემოქმედებითი სამუშაოა, რომელიც განსაზღვრულია ფართო საზოგადოების განვითარებისათვის. 114) და არა მარტო იმ ხალხისათვის, რომელ ენაზე იყო დაწერილი კვლევა ან თხზულება და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. თბ. 1914;
2. Вл. Чантуриа. Педагогика грузинского гуманизма XI-XII вв. Бат. 1954;
3. “ათონის ივერიის მონასტრის 1074წ. ხელნაწერი ადაპებით, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა” თბ. 1901;
4. მ. ვანლიში, ა. თანდილოვა. ლაზეთი. თბ. 1964;
5. გეორგიკა. ბიზანტიის ცნობები საქართველოს შესახებ (თარგ. ს. ყაუხრიშვილის) თბ. ტ. I-IV, 1932-36;
6. E. Boret. De Themistiosophista. Paris, 1853.